



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030109154154514

№ 01-342/ო

18 / დეკემბერი / 2014 წ.

„რადიაციული ონკოლოგიის“ დარგში - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „ენის წინა და შუა მესამედის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N1);
- ბ) „ენის სხვა ნაწილების კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N2);
- გ) „ენის ძირის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N3);
- დ) „პირის ღრუს ფსკერის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N4);
- ე) „ზედა ყბის სინუსის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N5);
- ვ) „პირხახის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N6);
- ზ) „ცხვირხახის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N7);
- თ) „ნუშურა ჯირკვლის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N8);
- ი) „ყბაყურა ჯირკვლის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N9);
- კ) „კუჭის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N10);
- ლ) „პროსტატის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N11);
- მ) „საშვილოსნოს ტანის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო

სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N12);

ნ) „სარძევე ჯირკვლის კიბოს რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N13);

ო) „ჰოჯკინის ლიმფომის რადიოთერაპია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N14).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



ზაზა სოფრომაძე